„ვამტკიცებ“
შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორი, ლ. ტვილდიანი

ბრძანება # _____წელი

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები

თბილისი 2023

უნივერსიტეტში აკადემიური საზოგადოების წევრთათვის კვლევების და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის არსებობს შემდეგი მექანიზმები:

1. მხარდამჭერა შესაბამისი სერვისების მიწოდებით
2. ცოდნის (კვლევითი კომპეტენციების განმავითარებელი)მიწოდება შესაბამისი კურსების მეშვეობით
3. მკვლევართა და სტუდენტთა გაგზავნა, საერთაშორისო ფორუმებზე მოხსენების/მონაწილეობის,ტრენინგის მიზნით
4. ახალი საინტერესო კოლაბორაციული შესაძლებლობების მოძიებითა და შეთავზებით
5. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობა, საკუთარი (დტსუ) სამეცნიერო კონფერენციების და ასევე სხვებთან კოლაბორაციით
6. კვლევებისა და განვითარებული საქმიანობისგამიზნული პროექტების შემუშავებასა და მონაწილეობისთვის აკადემიური მხარდაჭერა
7. კვლევებისა და განვითარებული საქმიანობის, გამიზნული პროექტების შემუშავებასა და მონაწილეობისთვის ფინანსური მხარდაჭერა

მექანიზმების რეალიზაციის ინსტრუმენტები, სერვისები, პროცესები, პრაქტიკა და განვითარების შესაძლებლობები

1. მხარდაჭერა შესაბამისი სერვისების მიწოდებით:

- ✓ კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება ინდივიდუალურად /საჭიროების შესაბამისად:
  - კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამის კვლევის დიზაინისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებზე კონსულტირებისთვის
  - peer-review ჟურნალში გამოქვეყნებაში ხელშეწყობისთვის
  - დოქტორანტთა/ახალგაზრდა მკვლევართა პრეზენტაციის მომზადებაში ხელშეწყობა
  - საგრანტო განაცხადის ფორმატში კვლევითი პროექტების მომზადებაში ხელშეწყობა
  - ლიტერატურული ძიების სწორ წარმართვაში ხელშეწყობა
- ✓ დეპარტამენტი ასევე ჩართულია უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში ახალი კოლაბორანტების მოძებასა და კონტაქტების დამყარებაში
- ✓ კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა სათანადო საბიბლიოთეკო სერვისის მეშვეობით: ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია საჭირო ელექტრონული რესურსები და ბაზები: HINARY, Roial Sociaety Journal, ა.შ

- ✓ კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა ტექნიკური მხარდაჭერის სერვისით: ტურნიტინის პლაგიატის დეტექციის სისტემის გამოყენების შესაძლებლობა, თვითშეფასების და თვითკონტროლის მიზნით

2. ცოდნის (კვლევითი კომპეტენციების განმავითრებელი) მიწოდება შესაბამისი ფორმების მეშვეობით

3. მკვლევართა და სტუდენტთა გაგზავნა, მათ შორის, საერთაშორისო ფორუმებზე მოხსენების /მონაწილეობის, ტრენინგის მიზნით:

უნივერსიტეტი მკვლევარის ინდივიდუალური საკვლევი ინტერესიდან გამომდინარე და მისი კარიერული ინტერესების მხარდაჭერად მუდმივად უზრუნველყოფს ზ/ა-ს როგორც ინდივიდუალურად მოძიებული საინტერესო შესაძლებლობების რეალიზაციით, ასევე პროექტების და გრანტების ფარგლებში ჩართვით და უნივერსიტეტისთვის არსებული სხვა ფორმატების (მაგ: ჩარლზის უნივერსიტეტის გრადეც კრალოვის PHD კონფერენციაში ყოველწლიური მონაწილეობა , AMEE კონფერენციებში მონაწილეობა)

4. ახალი საინტერესო კოლაბორაციული შესაძლებლობების მოძიებითა და შეთავზებით:

- ✓ კვლევაში საერთაშორისო ექსპერტების მოძიების და ჩართვის შესაძლებლობა
- ✓ ახალი ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციური კოლაბორაციების შეთავაზება (მაგ: NIHფოგარტის ცენტრი, ანდერსენის კიბოს ცენტრი,ლუგარის ცენტრი, ა.შ.

5. უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო საქმიანობაში ხელშეწყობა საკუთარი (დტსუ) სამეცნიერო კონფერენციების და ასევე სხვებთან კოლაბორაციით:

- ✓ უნივერსიტეტის კონფერენციის ახალი ფორმატი: „აკადემიური სტანდარტების გაუმჯობესება განათლებაში(ISE); დტსუ ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ყოველწლიური კომფერენციები; ქართული ინტერნაციონალური სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციის (GIMPHA)კონფერენციების ხელშეწყობა

6. კვლევებსა და განვითარებულ საქმიანობაზე გამიზნული პროექტების

- ✓ შემუშავება და მონაწილეობისთვის აკადემიური მხარდაჭერა:
  უნივერსიტეტის პერსონალის დატვირთვაში [იხ. დებულება: დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში (დტსუ) პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ]გათვალისწინებელია სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვისთვის აუცილებელი (მინიმალური) ბალანსი; თუმცა კვლევითი საქმიანობიდან გამომდინარე (და მათი დამატებითი ხელშეწყობისთვის)ასევე

არსებობს ინდივიდუალური ცვლილებების შესაძლებლობა (კვლევაზე მეტი დატვირთვა)

- ✓ ხელშეწყობა ასევე გულისხმობს კონფერენციებში მონაწილეობის და/ან საზღვარგარეთ სხვა კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინებების ხელშეწყობას (ცხრილით არსებულ ვალდებულებებში შესაბამისი კადრით ჩანაცვლება)
- ✓ სხვა სამეცნიერო საქმიანობის (ხელმძღვანელობა,ოპონირება და ა.შ.) და განვითარებულ (მათ შორის ახალი კოლაბორაციული შესაძლებლობების მოძიების მიზნით) ღონისძიებებში შტატის მონაწილეობას (სამეცნიერო და პროფესიულ ასოციაციებში მონაწილეობა; მეტიც „ჩათვლილია „ აკადემიურ დატვირთვაში)

7. კვლევებსა და განმავითრებელ საქმიანობაზე გამიზნული პროექტების შემუშავებისა და მონაწილეობისთვის ფინანსური ხელშეწყობა:

- ✓ უნივერსიტეტი აფინანსებს (iv)-ით განსაზღვრულ აქტივობას: კერძოდ სამეცნიერო /პროფესიული ასოციაციის წევრობა,ასოციაციის ღონისძიებებსა და კონფერენციებში მონაწილეობას როგორ გამოცდილი შტატის, ასევე ახალგაზრდათა (მათ შორის მათ ერთობლივ მონაწილეობას)

დტსუ ასევე ზრუნავს კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებით თავისი საქმიანობის გაუმჯობესების /ეფექტურობის ამაღლებაზეადმინისტრაციული და სხვა ხელშეწყობით: ახალი შტატის დამატება, გარკვეული დოკუმენტები და სახელმძღვანელო ინსტრუქციების რევიზირებით, რაც ასევე შეიძლება ჩაითვალოს კვლევის მხარდაჭერის გამიზნულ ღონისძიებებში.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტები, რომლებიც სარგებლობენ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სადოქტორო გრანტით

1. **კალმახელიძე ბაია (21-086-PhD)** - ემოციური ინტელექტი და ნაწლავის მიკრობიოტა ბავშვთა ასაკის ბრონქული ასთმისა და ატოპიური დერმატიტის დროს
   ხელმძღვანელი - **ქ. ნემსაძე,** პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **მ. ხერხეულიძე,** პროფესორი, თსსუ

2. **გურაბანიძე ვახტანგი (20-082-PhD)** - სისტემური ანთების მარკერების, მეტაბოლური ადაპტაციის რიგი კომპონენტებისა და ვისცერული ცხიმის დონის მაჩვენებელთა ერთობლივი ანალიზი ნორმალურ ორსულებსა და პრეეკლამპსიის ჯგუფში.
   ხელმძღვანელი- **თ. გაგუა,** ასოც. პროფესორი, დტსუ

3. **გუგუშვილი მარიამი (20-081-PhD)** - მეტაბოლური და ცხოვრების წესის თავისებურებები და დარღვევები პოლიცისტოზური საკვერცხის სინდრომით მოზარდებში.
   ხელმძღვანელი- **ბ. ტყეშელაშვილი,** ასოც. პროფესორი, დტსუ

4. **შეროზია ელენე (20-084-PhD)** - ფილტვის პროგრესირებადი მაფიბროზებელი დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა საქართველოში.
   ხელმძღვანელი - **მ. გოთუა,** პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **ნ. თაბაგარი,** პროფესორი, დტსუ

5. **ხუციშვილი ნინო (18-073-PhD)** - ანდროგენული ალოპეციის კლინიკურ-მორფოლოგიური თავისებურებები, დიფერენციალური დიაგნოზი და მკურნალობის ახალი მეთოდები.
   ხელმძღვანელი - **ნ. ლორთქიფანიძე,** ასოც. პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი **-ი. ოვჩარენკო,** პროფესორი, ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტი, უკრაინა

6. **ბოჭორიშვილი ეკატერინე (18-074-PhD)** - ალერგიულ პაციენტებში ჯვარედინად მორეაგირე ალერგენების როლი კლინიკური ფენოტიპის ჩამოპალიბებაში.
   ხელმძღვანელი- **მ. გოთუა,** პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **თ. აბრამიძე**

7. **ქიქოძე ნინო (15-070-PhD)** - გადაუდებელი მდგომარეობების მართვა ძვალშიდა მიდგომით, ჩვენებები, გავლენა გამოსავალზე და გართულებები.

ხელმძღვანელი-**ქ. ნემსაძე,** დტსუ პროფესორი
თანახელმძღვანელი - **მ. რივერა,** მეიოს კლინიკა, მინესოტა აშშ.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტები, რომლებიც სარგებლობენ ემორი-ჯორჯია ტუბერკულოზის კვლევის პროგრამით (დაფინანსებული აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების (NIH) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრით დაფინანსებული გრანტით)

8. **ლომთაძე ნინო (15-063- PhD) -** საქართველოში ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი მედიკამენტების დანერგვის გავლენა პაციენტების კლინიკურ გამოსავლებზე და ჯანდაცვის სისტემაზე.
   ხელმძღვანელი- **ნ. თაბაგარი,** პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **ვ. მირცხულავა,** ასოც. პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **ჰ. ბლუმბერგი,** პროფესორი, ემორის უნივერსიტეტი, ატლანტა, აშშ.

9. **ყიფიანი მაია (15-064- PhD) -** სწრაფი დიაგნოსტიკური მოლეკულური ტესტის, Xpert TB/RIF, კლინიკური ღირებულების შეფასება ნახველის ნაცხ-უარყოფით, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში საქართველოში.
   ხელმძღვანელი, - **ნ. თაბაგარი,** პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **ვ. მირცხულავა,** ასოც. პროფესორი, დტსუ
   თანახელმძღვანელი - **რ. კემპკერი,** ასისტ. პროფესორი, ემორის უნივერსიტეტი, ატლანტა, აშშ.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც სარგებლობენ ჰორიზონ 2020 -ის საგრანტო დაფინანსებით

ადრეული გამოვლენისა და ინტერვენციის სერვისის მიწოდების განხორციელება, ცერებრალური დამბლით გამოწვევის რისკის ქვეშ მყოფ ახალშობილებში, ჩვილების ფსიქომოტორული განვითარებისა და დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

პროფესორი ნ. ტატიშვილი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც სარგებლობენ შიდა საუნივერსიტეტო გრანტით

გალექტინ - გლიკანის ცვლილებათა საფუძვლები ასწვრივი აორტის ანევრიზმის პროგრესია - ინჰიბიციის დროს ქართულ პოპულაციაში.

პროფესორი ლ. გოგიაშვილი